

დასაწყისი

ალმანახი

გამოვა დროგამო-
შვებით

ქუთაისი 4 ნოემბერი.

პატარა წერილი.

13288

მეოთხე სათათფიროს არჩევნები ბევრითაა საყორადლებო ჩვენთვის: ხალხი, ერთი შეხედვით, არჩევნებს თითქოს არათ ავდებდა, მარა, როცა დადგა წამი რწმუნებულების არჩევისა სოფლად და ქალაქებში, ერთა შეინძრა, დაფაცურდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო არჩევნებში ყველგან და ნდობა გამოუცხადა იმ მიმართულებას, რომლის წარმომადგენლები გაგზავნა სამს სათათბიროში. თფილისმა ისევე კარლო ჩხეიძე აირჩია, ბათუმმა—აკაკი ჩხენკელი და, წარმოიდგინეთ, რუსთა კურიიდანაც ს. დ. სკობელევი გავიდა ტიმოშინის მაგივრათ. ქუთაისიდან ე. გეგეჭკორი, ან ლ. ნათაძე აუცილებლათ გავიდა, რომ დანოსებისა და ათასნაირი ხრიკების წყალობით ფოთის და ქუთაისის არჩევნები არ გაეუქმებიათ. ბ. გელიგანის არჩევნებში ქუთაისის და ფოთის მოქალაქეებს მონაწილეობა არ შიადებიეს. ბ. გელიგანი მარტო მემამულეების არჩეულია. მიუხედავათ ფედერალისტების რწმუნებისა, რომ ს. დ. ხალხში ნდობა დაეკარგა, ნიადაგი გამოეცალა და მასსა ჩვენ გვემხრობაო, სინამდელიემ სხვა დაგვანახვა. ამისათვის ერთხელ და სამუდამოთუნდა დარწმუნდეს ფედერალისტები, რომ ხალხი მათი მომხრე არაა და ერთხელ არჩეულგზას მიყვება, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი ინტერესების დამცველი, მასთან ჭირსა და ლხინში მყოფი ის მიმართულებაა, რომელიც ოცი წელიწადია იბრძვის მისი უფლებებისათვის, რომლის წევრები არ ერიდებიან დაქვერა ციმბირ-კატორღას და სიცოცხლესაც წირავენ მისთვის.

ფედრალისტებმა თავის მთავარ მიზნათ დაისახეს საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მოპოება.

ჩვენ ამას არ ვეთანხმებით და ვებრძვით. რატომ? ეს ჩვენ ვრცლათ განვიხილეთ „ჩვენ ცხოვრებაში“. ამ წერილებზე „სახ. ვაზეთმა“ ხმა არ ამოიღო, თუმცა დაგვპარდა „მოვილაპარაკებთო“, ხოლო „კოლხიდიამ“ გვიპასუხა უშველებელი ლანძღვა-გინებით,

რას ნიშნავს საქართველოს ავტონომია?

ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა ორი გუბერნიის ხელოვნურათ გამოყოფას მთელ ამიერ-კავკასიიდან და შექმნას დამოუკიდებელი მართვა-გამგეობისა. ამ ფარგალში მცხოვრებნი შეიქმნებიან ბატონ-პატრონი ამ პატარა ტერიტორიის. აქედან გამომდინარეობს ორი კითხვა: როგორ მოეწყობა აქ მყოფ ერთა ურთიერთობა, როგორ მოეწყობა საქართველოს ეკონომიური განვითარება. ვინაიდან საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობა ქარმითველებია, ცხადია მთავრობაც მათი იქნება. მეორე მხრით, ვინაიდან საქართველოში ვაბატონებულ კლასს კიდევ თავად აზნაურობა და მისი ინტელიგენცია შეადგენს, ცხადია ეს თავრობაც მათი ხელქვეითი იქნება. ესენი ამ ძალას მოიხმარენ თავის სისარგებლოთ და მიმართვენ პირველ ყოვლისა სომხების, ებრაელების და სხვა უცხო ერთა წინააღმდეგ. ავტონომია ჯერ მათ არ აქვთ, ხოლო პატრონიულ ავტოციას ახლავე ეწევიან თავიანთ ორგანოებში. ჯერ მათ მთავრობა არ ყავს, ხოლო ძალმომრეობას ახლავე ეწევიან არჩევნებში. ადვილი წარმოსადგენია რა იქნება მა-

შინ, როცა ავტონომიას მოიპოვებენ.

ასე გაჩაღდება ეროვნული ბრძოლა საქართველოში. ამას, რასაკვირელია, გულ-ხელ დაკრეფილი ვერ შეხვდებიან სომხები და სხ. ესენი თავის მხრით დაუწყებენ დევნას ქართველებს თავის პროვინციებში, საქართველოში ატყეილი ეროვნული ბრძოლა გადაეა და მოედება მთელ ამიერ-კავასიას. ეს ძალზე დასუსტებს თვითველ ერს ცალ-ცალკე და ყველას ერთათ. ეს ბრძოლა უნდა გათავდეს ან გარეშე ძალის ჩამორევით ან და საქართველოს ავტონომიის მოსპობით და მთელი ამიერ კავასიის ერთა ერთნაირ უფლებებრივ პირობებში ჩაყენებით.

ასეთია შედეგი საქართველოს ავტონომიისა.

მეორეთ, საქართველოს ავტონომია ნიშნავს საქართველოს საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკას ე. ი. დამოუკნების დაწესებას და მფარველობითი სისტემის შემოღებას. განჯის ან ბაქოს საქონელი ვერ შემოვა ჩვენში უბაჟოთ. ეს გამოიწვევს ასეთსავე რეპრესიულ ზომებს ჩვენს წინააღმდეგ სომხების, რუსების და სხვა ერთაგან. ატყდება საეკონომიო ომი; და რადგანაც ქართველი ეურჯუაზია, ქართველი კაპიტალი სუსტია, დამარცხება ჩვენი ხვედრი იქნება. და ეს მით უფრო, რომ საქართველო დღეს არ წარმოადგენს ერთ ეკონომიურ მთელს, მისი ნივთიერი ყოფა-ცხოვრება გადაჯაჭულია მთელ კავასიაზე. უბაჟოთ ბათომის წარმოდგენა შეუძლებელია. თფილისი განივდება იმ დღიდან, რა დღესაც ის დაკარგავს ამიერ კავასიას ცენტრობას და ვახდება მარტო ორი გუბერნიის ცენტრი. ქართველები, საქართველოს გარეშე მყოფნი იძულებულნი იქნებიან იქ მათ წინააღმდეგ ამართულ დევნისაგან თავი იხსნან საქართველოში დაბრუნებით. ამ ნაირათ, ჩვენი ნივთიერი ცხოვრების მოდუნდება, მრავალი უმუშევრო და უსაქმო ხალხის შინდაბრუნება—აი შედეგი ავტონომიური ეკონომიური პოლიტიკის. ამას მოყვება უცხო კაპიტალის და ბანკების გადატანა ბაქოში, განჯაშიდა სხვაგან, ვაჭრების მი-

სიური გაკოტრება და მთელი ეკონომიური ურთიერთობის არე-დარევა. ეს იქნება უკან დაწევა და რეგრესი.

ამნაირათ, ავტონომია ნიშნავს კავასიის ერთა ბრძოლას ნაციონალურ და ეკონომიურ ნიდაგზე, ეს მუდმივი ნაციონალური ბრძოლაა, რომლიდანაც დამარცხებული და დასუსტებული ისევ ქართველობა იქნება.

ამიტომ არ გვინდა ავტონომია.

მაშ რა გვინდა?

ჩვენ გვინდა ამიერ-კავასიის ერთი ფართე ტერიტორიალური თვითმართველობა კანონმდებლობითი ფუნქციით ყველა ადგილობრივ კითხვებზე. მის ხელში იქნება აღმასრულებელი ძალაც. ამასთანავე თვითველ ერს უნდა მიეცეს კანონმდებლობითი გარანტია თავისი ნაციონალური კულტურა განავითაროს უდევნელათ, სრულიად თავისუფლათ. თვითველი ერი თავის წმინდა ნაციონალურ კულტურულ საქმეებს უნდა განავებდეს თვითვე.

ამ შემთხვევაში ნაციონა შორის ბრძოლა არ იქნება კულტურის ნიდაგზე, ვინაიდან აქ ერთი მეორის ჩაჯვრა მოისპობა. მათ შორის არ იქნება არც საეკონომიო ომი, ვინაიდან მთელი ამიერ-კავასია აღიარებულ იქნება ერთ ეკონომიურ ერთეულათ, რომლის აღორძინებაში და განვითარებაში შემბული იქნება ყველა ერის კაპიტალი და შრომა. საქონლის გატან-გამოტანა იქნება თავისუფალი, უბაჟოთ და უდავიდარაბოთ. ამას მიუმატეთ ისიც, რომ თვითველ მაზრას და გუბერნიას ექნება ფართე ერობა, რომლის ხელში იქნება მთელი პირველდაწყებითი განათლება და ადგილობრივი პოლიცია.

ერთი სიტყვით, ჩვენ მივილტვით ისეთი ადგილობრივი წყობილებისკენ, რომელიც აგვაცდენს მრავალ ერიან კავასიაში ერთა ბრძოლას და წინ წასწევს მთელ მხარეს ეკონომიურათ. ამას ძირს უთხარი საქართველოს ცალკე ავტონომიურ სახელმწიფოთ გამოყოფა, ამას ხელს უწყობს მთელი ამიერ კავასიის ერთა თვითმართველ ერთეულათ გამოცხ-

...ულ ერისათვის კულტურული
 დება და თვით... აქეთკენ მივიღებთ
 ავტონომიის მინი...
 ჩვენ, ამას მოვი...
 „ახალი არიყა“

არჩევნები, ის შექმნე.

დაიჯერე მკითხველ, ისე მოძაბვლა
 თავი არჩევნებში, რომ არც მსურდა წერილი
 არჩევნებიდან დამეწყო, მაგრამ წარმოიდგინეთ
 ხშირათ—რასაც ეწინააღმდეგები გვერდს მა-
 საც ვერ აუვლი. ცხოვრებაში ესა თუ ის მო-
 ვლენა ძალა უნებურათ ჩავითრევს, მიუს...
 უფო იმისა, გსურს თუ არა. ცხოვრება თავი
 მრწამს ძალით მიგაღებებს. პირადათ—ამ
 სტრიქონების დამწერი სრული წინააღმდეგი
 ვიყავი რაიმე მონაწილეობა მიძელო დღევან-
 დელ არჩევნებში. წინააღმდეგი ვიყავი იმი-
 ტომ, რომ ჩემი ღრმა რწმენით დღევანდელ
 სახ. სათათფიროსაგან გარდა ლაყობისა და
 უბრალო წყლის ნაყვისა არა გამოვა რა. მა-
 გრამ... დახეთ, რომ ჩემი წინააღმდეგობა,
 ჩემი ასე თუ ისე ბოიკოტის ტობა ვერ გან-
 ვახორციელე და სიტყვით, თუ საქმით მხარს
 ვუჭერდი და პატივს ვსცემდი იმ ერთ პოლი-
 ტიკურ მიმართულებას, რომელსაც ნიადაგი
 უკვე მომზადებული აქვს მშრომელ მდაბიო
 ხალხში. დანამდვილებით შემიძლია ვსთქვა,
 რომ იქ ჩვენი დებუტატები იმდენს ვერას გა-
 აკეთებენ, რაც აქ გაკეთდა მათი არჩევნების
 ღროს. თქვენი რა მოგახსენოთ და, ჩემთვის
 ძვირფასი იყო ის, როდესაც ქუჩაში შეგრო-
 ვილ ხალხს ეხედავდი, სადაო გაცხარებუ-
 ლი ბრძოლა სუფევდა პარტიებთა შორის, სა-
 დაც ესა თუ ის მოლაპარაკე გაცხარებით
 იცავდა ამა თუ იმ მიმართულებას. ასეთი
 პარტიათა ბრძოლა შეხლა შემოხლა მეტი რომ
 არა ვსთქვათ ხალხის გამაღვიძებელია და ამ
 მხრით არის მხოლოთ სასარგებლო დღევან-
 დელ არჩევნები, თორემ სხვა მხრით საკუ-
 თრად თქვეთვის დამილოცნია. თუ რა შედე-
 გი მოყვა არჩევნებს ეს ყველამ უწყის. საქარ-
 თველოდან ორი ესდელი გავიდა და
 ერთიც ესფერი. ვერ ვიტყვით, რომ ესფე-

რის გასვლა, მათი გამარჯვება, ბუნებრივი
 იყო თქო, მაგრამ ერთი მხრით რომ შევხე-
 დოთ, ისინიც ძლიერ საჭიროა იქ, რადგან
 ვაივოთ როგორ დაიკავენ ჩვენს ინტერე-
 სებს, რომ ყურები გამოგვიქედეს ტრაბახო-
 ბით. ჭი რომ მკითხოთ, ესფერების ასეთ
 ძალდატანები- თ გამარჯვებას, ბევრად სჯობ-
 ...ისანი დამარცხება.
 და ბუნებრივი და პატი...
 მათი გამაიჯვება სრულებით არ ჩაითუ...
 გამარჯვებათ, რა თქმა უნდა თუ მივიღებთ
 მხედველობაში ყველა იმათ შეუფერებელ სა-
 შვალეებებს, მათ ულამაზო ბრძოლას ესდევ-
 კების მიმართ, მათი შეუფერებელი და უგ-
 ანო მოქმედების დასამტკიცებლად მარტო
 ის კ... არა, რომ ქალაქის არჩევნები ორჯერ
 ზედიზედ ჩაშალეს და დღეს გაუწითლებლათ
 გაყვირიან გ...ვიმარჯვეთო, ხალხმა ავირჩიაო.
 (ნეტავი რომელ... ეს ხალხი?!) დასასრულ
 რაც შევხება „კოლ...იდა—იმერეთის“ ტარილს
 მათ „ურო“—ს კენესა... ესდევება სამშო-
 ბლო გაყიდესო, ესდევება... ხალხს უღალა-
 ტესო, ეს მეტი რომ არა ვსთქვათ, გადამე-
 ტებული სიბრაზის შედეგია, თორემ ხალხმა
 კარგათ იცის თუ ვინ ყიდის სამშობლოს, ვინ
 ღალატობს ხალხს, ვინ არის მისი მტერი და
 ვინ მოყვარე. ნუ ავიწყდებათ „ურო“—ს და
 მათ კონჰანის, რომ მშრომელ ხალხში ისინი
 ნიადაგს იქნამდე ვერ მოიპოვებენ, სანამღი ისე-
 თი თავგამოდებული მუშაკები არ გახთე-
 ბიან, როგორც ესდევებია, სანამდე ხალხში
 არ შევლენ და არ გაეცნობიან მათ ქირ—
 ვარამს და მასთან, სანამდე არ ჩამოიშორებენ
 ისეთ ელემენტებს, რომლებიც მუშებს და
 მღვებებს დასანახავათაც ეზარებათ.

წამებუდა.

ახალი ამბები

არჩევნები. თფილისის გუბერნიიდან მეო-
 თხე სათათფიროს დებუტატათ აირჩიეს ისევ
 ძველი დებუტატი კარლო ჩხეიძე. ბათუმიდან
 გავიდა აკაკი ჩხენკელი ს. დ. რუსთა კურ-

იდან — სკობელევი ს. დ. და ქუთაისის გუბერნიიდან ნაფ. ვეჭილი ვარლამ გელოვანი ფედერალისტების მომხრე.

— 17 ოქტომბერს ქუთაისის ამრჩევლების არჩევას, 4 ოქტ. შედარებით, ცოტა ხალსი დაესწრო, ზოგიერთ ვაჟბატონების წყალობით, დემოკრატების მომხრეებს „უპრავის“ არემარეზე არ აქაჟანებდნენ. ამ დღეს სხვა და სხვაუბნებში შვიდი კაცი დააკავა პოლიციამ და მეორე დღეს საგუბერნიო ციხეში გაგზავნა.

თ. ვლადიმერის მოთქმა.

ვლადიმერ მიქელაძე ვარ, ბანკების დირექტორია; დეპუტატობის გულისთვის ბლომათ დაგხარჯე ფულია,

მარწმუნებდენ დეპუტატათ, უსათუოთ გაგიყვანთო; ფულებს თუ ბლომათ დახარჯავ, ხალსს უზომოს მოვრეკავთო.

დამქაშები ბევრი მყავდა, ყოველ დღე იყვნენ მთვრალი; რა მჯიდა, ჩემთვის ვიყავი, რათ გავიღანძღე თავია?.

მომიყვანეს ყოველ მხრიდან, ვითომდა ჩემი ამქრები; შავი კენჭების დათვლამა მთლად დამიბნია დავთრები.

მივმართე ისევ ხრიკებსა, დაეშალო არჩევნებია; მაინც ვერა გავაწყვე რა, წავედი შერცხვენილია.

მელაშვილი.

წერილი ჯამო ივაჩაიიდან

(ყვირილის რაიონი)

1906 წლის შემდეგ ყვირილის რაიონში გაზმირდა ცარცვა-გლეჯა და ქურდობა, რის წინააღმდეგ ხალხი ხმას ვერ იღებს, რადგან მასში ყოველივე თვითმოქმედება ძალითაა ჩახშული. მისი ბედ-იღბალი სოფლის მოხელეების ხელშია. მოხელეები კი მარტო გადასახადებს თუ მოკრეფენ ხალხში, თორემ ყაჩაღებს და ქურდებს ყურადღებას არ აქცევენ. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია ის ამბები, რაც ხდება ამ უკანასკნელ ხანებში ყვირილის რაიონის რასდენიმე საზოგადოებაში. რამდენიმე პირებისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო იარაღით ხელში დადის სოფლებში და ვითომ ხალხის საქმეს ემსახურება, ავალდებულებს ყველას თავის შენახვას; ნებით ვინაც არ მიცემს, ძალით მიაქვს, რაც ხალხს სასოწარკვეთილებაში აგდებს და არ იცის რა ზომას მიმართოს. მათი მიზეზით რამდენიმე საზოგადოებაში მთავრობის მამასახლისები გაძლიერებული მცველებით ჩააყენეს, მათი შენახვა ხალხს რამდენიმე ათასი მანეთი უჯდება, რის გამო ქონებრივად მიწასთან სწორდება. ბრბოს ბელადები კი ასეთ მოქმედებას ხალხს სამსახურს ეძახიან და თავისს სასახელო თარგუს უფრო უმატებენ. ასეთმა მათმა მოქმედებამ ხალხის საზარალოთ გამოიწვია რამოდენიმე პირების ჩამოცილება მათგან, დანარჩენები კი როგორც ჩანს, ძველ გზას არ ტოვებენ და დათარეშობენ. მათ თარგუს თან სდევს ხალხის ათასნაირათ დასჯა: ჯარიმა, მთელი დღე წვიმაში დგომა, ცემა-ტყევა და სხვა. დროა, თვით ხალხმა მოუღოს ბოლო ამ ვაჟბატონების თარგუს. X.